# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 7 მარტი 2006 №50 (2672) ფასი 50 თეთრი

# რვა ომზე გაიყოფა

## დღეს: ვინ გაითასასავებს ნახევარფინალში?

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — ამერი
ბორჯომი — სიონი
ზესტაფონი — დინამო





დიდთოვლობის გამო გადადებულ მეოთხედფინალის პირველ მატჩში „ზესტაფონი“ და „დინამო“ დღეს შეიყრებიან

# მაუ, კამპ ნოუ კუპრის ქვაბია, შენ დღეს აქ მოიხარშები!



ძნელად, კაცმა იმას გაუძლოს, რასაც ქოზე მაურინიუმ ბარსელონის აეროპორტში გაუძლო

კატალონიელ ქომაგთა ღრიალმა შეიძლება, ლონდონამდეც ჩააღწიოს: დღეს „ბარსა“ — „ჩელსია“, უთოფო ომი „კამპ ნოუზე“.

ვინ ვის? ორი კვირის წინ უბალახო „სტემფორდ ბრიჯზე“ „ბარსელონამ“ გაიხარა, ახლა კი ხასხასა, უკიდეგანო „კამპ ნოუზე“ ბურთი, ჰოი, როგორ იფრენს და ისრიალებს!

ვინ ვის? მაურინიუ თუ რაიკარდი? შარშან პორტუგალიელის ტაქტიკამ გადაწონა, წელს კი... აგერ, „ბარსა“ — „ჩელსი“ და შუალამისას პასუხი გვეცოდინება.

ბარსელონური მატჩით დაჩრდილულ „იუვე“ — „ვერდერზე“ უთქმელობაც არ იქნება. ბრემენელმა „მუსიკოსებმა“ შინ კარგად „დაუკრეს“ და ამ მუსიკით აპირებენ მეოთხედფინალში გასვლას. რატომაც არა?! პირველი მატჩი ხომ 3:2 მოიგეს და განა რამდენი გუნდი დაიტრაბახებს „იუვენტუსის“ კარში გატანილ სამ გოლს? მაგრამ ისიცაა, რომ ფაბიო კაპელოს „იუვე“ ზედიზედ ორ მატჩში დაცვაში გასეირნების უფლებას, ალბათ, არავის მისცემს.

„ვილიარეალს“ კი „რეინჯერსის“ ჩამოცილება უნდა და ისტორიას შექმნის: პირველად მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში და უკვე მეოთხედფინალს უკაკუნებს.

# კვარაცხელია კანდიდატია



**დღეს** 14 საათზე ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენციას გამართავს ყოფილი ჟურნალისტი მამუკა კვარაცხელია და, როგორც შევიტყვეთ, 2007 წლის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე საკუთარ კანდიდატურას წარადგენს.

შეგახსენებთ: კვარაცხელიას ადრეც უმუშავია ფედერაციაში — წლების წინ პრესატაშე გახლდათ.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე კი წელიწადზე მეტი დარჩა და ჩანს, რბოლა უკვე იწყება.

**ლუკა თალაკვაძე**

# მალტა-მოლდოვა-საქართველო: სამკუთხედი ტრიალებს
## ახალგაზრდები აპრილში მოიკუნძულებენ

**გეცოდინებათ,** საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს ევრო 2007-ის შესარჩევი ციკლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მალტასთან მოუწევს შეხლა. კუნძულელებთან შეხვედრები ივლისამდე უნდა გამართულიყო და აგერ, თარიღებიც დამტკიცდა: 12 აპრილს მალტაში, 26 აპრილს კი — საქართველოში.

მალტელებთან საშინაო შეხვედრას მოლდოველი მსაჯები გაუძღვებიან — ვიაჩესლავ ბანარი (მთავარი მსაჯი), ანატოლი ბოდეანი, ვალერი გუტუ (ასისტენტები) და გენადი ორლიკი (სათადარიგო მსაჯი).

საინტერესოა, რომ სწორედ მოლდოველმა ბანარმა განსაჯა ამასწინანდელი საქართველო — მალტის (2:0) ეროვნულ ნაკრებთა მატჩიც.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მალტური ბარიერის გავლის შემთხვევაში, ქართველებს ლიტვასთან და სერბებთან მოუწევთ ჯგუფში თამაში, საიდანაც მხოლოდ პირველადგილოსანი გავა მეორე შესარჩევ ეტაპზე.

**ილია ნანობაშვილი**

# ლოკომოტივი შინაც სტუმარია

**დღეს** დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მეოთხედფინალის „ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯია" მცხეთაში, „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე გაიმართება.

„ლოკომოტივს" ამ მატჩის ჩატარება ავლაბარში, „ოლიმპის" სტადიონზე სურდა, მაგრამ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ამის ნება არ დართო — „ოლიმპის" სტადიონზე მოუწესრიგებელია საშხაპეები და გასახდელები.

გეცოდინებათ, ამ სტადიონზე საშინაო მატჩებს „თბილისის" ატარებს და სეზონის ბოლომდე ასეც იქნება, მერე კი შესაძლოა, „თბილისმა" სხვაგან უმასპინძლოს მეტოქეებს — „ოლიმპი" კერძო პირს ეკუთვნის და ამბობენ, სტადიონის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის აშენებას აპირებსო.

**ლუკა თალაკვაძე**

# ახალი კალენდარი და ახალი გუნდი?

**ზეგ** შვეიცარიაში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი დადგინდება. გეხსომებათ, ამ მიზნით პარიზში გამართულმა ხუთდღიანმა ეპოპეამ შედეგი ვერ მოიტანა და ახლა ყველაფერს თავად უეფა გადაწყვეტს. თუმცა... კიდევ არის მცირე შანსი, „ბრმა კალენდარი" თავიდან ავირიდოთ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საფრანგეთის, იტალიის, უკრაინის, შოტლანდიის, ლიტვის, საქართველოსა და ფარერის კუნძულების წარმომადგენლები უეფას განუცხადებენ, რომ უკვე შემუშავებულ პროექტთან დაკავშირებით კონსენსუსს მიაღწიეს.

ამის შანსი კი ნაკლებია, რადგან უკრაინელები აშკარად არ არიან რაიმეს დასათმობად განწყობილნი.

თავდაპირველი ვარაუდით, უეფას კალენდარი 2 მარტს უნდა დაედგინა, მაგრამ წინა საღამოს თითქმის მთელ საფეხბურთო მსოფლიოს ამხანაგური მატჩები ჰქონდა, ფედერაციათა ხელმძღვანელები შვეიცარიაში ჩასვლას ვერ ასწრებდნენ და უეფას კენჭისყრის გადავადება სთხოვეს. ერთადერთი კვლავაც უკრაინა იყო, 2-ში ყველაფრისთვის წერტილის დასმას რომ მოითხოვდა.

ასეა თუ ისე, 9 მარტს ყველაფერი გარკვეული იქნება. ამის შემდეგ უეფას შედგენილ კალენდარში გუნდებს უმნიშვნელო ცვლილებების შეტანის საშუალებაღა ექნებათ — ვთქვათ, ურთიერთშეხვედრებში სტუმარ-მასპინძლის შეცვლა.

საქართველოს უეფაში კვლავაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი წარადგენენ. ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერი მალტიდან გერმანიაში გაემგზავრნენ, გუშინ მათ უჩა უგულავაც შეუერთდა და ეს სამეული ხვალ შვეიცარიაში გადაინაცვლებს. ქართული დელეგაცია თბილისში პარასკევს დაბრუნდება და პრესკონფერენციაზე კალენდრის გარდა ალბანეთის ნაკრებთან 22 მარტის ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულ შემადგენლობაზეც ისაუბრებენ.

**გიორგი ნოზაძე**

# გვაზავა ლადაში ჩაჯდა
## ქართველები დაბლა რუსეთში

**ვლადიკავკაზის** „ალანიადან" წამოსული ლევან გვაზავა ახლა ანთალიაშია და ტოლიატის „ლადაში" ვარჯიშობს. „ლადა" რუსეთის პირველი დივიზიონის გუნდია და ჩვენებურიც ახალი სეზონის გატარებას იქ აპირებს.

რუსეთის პირველ დივიზიონს მიაშურა ლატვიის ჩემპიონ „მეტალურგსის" მცველმა ლევან მიქაძემაც — იგი წინა სეზონში ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო მცველად აღიარეს, თუმცა „მეტალურგსში" დარჩენა არ მოინდომა და ჯერ იაროსლავლის „შინიკში" ისინჯებოდა, ახლა კი კალინინგრადის „ბალტიკაშია", რომელთანაც უკვე კონტრაქტიც გააფორმა.

**ილია ნანობაშვილი**



„ალანიას" ლევან გვაზავაც დაშორდა

# ვითომ ლანდი ხარ
## კვირკველია გიგიაძეს გაეკიდა

დავით კვირკველია ზაპოროჟიეს „მეტალურგში" გადავიდა და თავის სადებიუტო მატჩში „კრივბასის" ქართველ ლიდერ ვასილ გიგიაძეს დაუპირისპირდა. საინტერესო ამბავი ყოფილა — კვირკველიას გიგიაძესთან პერსონალურად უთამაშია და მწვრთნელის დავალებაც კარგად შეუსრულებია. გიგიაძე 72-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო კვირკველიას „მეტალურგმა" 2:1 მოიგო.

— თამაში ჩემთვის ჩვეულ, მარცხენა მცველის პოზიციაზე დავიწყე. 15 წუთის შემდეგ კი მწვრთნელმა დამიძახა და ვასილ გიგიაძესთან პერსონალურად თამაში დამავალა — გვითხრა გუშინ დავით კვირკველიამ — ამ დროისთვის გიგიაძეს ერთი ნაღდი საგოლე მომენტი გაცუდებული ჰქონდა, ძალიან აქტიური იყო და, ალბათ, ამიტომაც მთხოვა მწვრთნელმა მისი განეიტრალება. გიგიაძეს ლანდად დავყვებოდი და ბოლოსკენ ის შეცვალეს. ორთაბრძოლებისას, რომელიც მრავლად გვქონდა, ვილაპარაკეთ კიდეც და ერთმანეთის მოკითხვაც მოვასწარით. ისე, ვასილ გიგიაძე „კრივბასის" აშკარა ლიდერია და გუნდის თამაშიც მას მიჰყავს. უკრაინაში ვასოს ძალიან აქებენ. ჩემი სადებიუტო მატჩით კი კმაყოფილი ვარ, „ალანიადან" წამოსვლის შემდეგ სასურველ ფორმას ნელ-ნელა ვიბრუნებ — ახლა უკრაინის თასის მოგებასა და გუნდში ადგილის დამკვიდრებას ვეცდები...

შეგახსენებთ: „მეტალურგი" უკვე თასის ნახევარფინალშია და უეფას თასზე გასვლას უმიზნებს.

**კობა ინასარიძე**



გადრი კოთიოლაპის ფოტო

ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერი პრესკონფერენციას შვეიცარიიდან ჩამოსვლის შემდეგ გამართავენ

### ინგლისი
პრემიერლიგა
XXVIII ტური
უიგანი 1:2 მანჩესტერი

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
XXIV ტური
ალემანია 3:2 ჰანზა

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXV ტური
რიუ ავე 2:1 ბელენენსეში

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXVIII ტური
ლორიანი 1:3 კაენი

### იტალია
სერია B. XXXI ტური
კატანია 3:0 მანტოვა
სერია C1/A. XXV ტური
სალერნიტანა 1:1 პადოვა

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XIX ტური
იჰლავა — სპარტა გადაიდო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
თანაუგრძნობს ვახტანგ კოპალეიშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ
ვახტანგ კოპალეიშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა უსამძიმრებს ვახტანგ კოპალეიშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი
სამძიმარს უცხადებს ვახტანგ კოპალეიშვილს
დედის
გარდაცვალების გამო



# არა დოგმითა ხოლო...

## კომისიამ მსაჯები გაამართლა

მეორე წრის შემჭიდროვებულმა კალენდარმა საფიქრალი მსაჯთა კორპუსსაც მოუმატა. გუშინ მათ ხელმძღვანელ **ამირან პაჭახიძეს** ვესაუბრეთ — საინტერესოა, რას ფიქრობს იგი მე-17 ტურში მომხდარ ამბებზე...

— „თბილისისა" და „დინამოს" მატჩს მასპინძელი გუნდის გარკვეული უკმაყოფილება მოჰყვა. არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას ირაკლი ჟღენტი უკვე გაფრთხილებული ჰყავდა და ერთ-ერთ ეპიზოდში წესების დარღვევის გამო მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა. მასპინძლები ამტკიცებდნენ, რომ იმ მომენტში წესები არა ჟღენტმა, არამედ მისმა თანაგუნდელმა დაარღვია, შესაბამისად, ჟღენტის გაძევება უსამართლო იყო. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ თავად ვადაჭკორიამ განაცხადა, თუკი შევცდი, მზად ვარ, თავი დავისაჯო და ერთი ტური გამოვტოვოო. მოვიწვიეთ კომისია, დაკვირვებით განვიხილეთ ვიდეოფირი და შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ იმ ეპიზოდში წესები ჟღენტმა დაარღვია. მადლობას ვუხდი „თბილისის" მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს, რომელიც კონსტრუქციულად მიუდგა ამ ამბავს და დაეთანხმა კომისიის გადაწყვეტილებას.

— საკამათო ეპიზოდი იყო „ზესტაფონ" — „ამერის" შეხვედრაშიც...

— ამ შეხვედრას თამაზ ბოკერია ესწრებოდა და მასაც ვთხოვეთ აზრის გამოთქმა. საუბარია ეპიზოდზე, როდესაც სულიკო დავითაშვილთან ორთაბრძოლაში მასპინძელთა მეკარე გრიგოლ ჭანტურიამ საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა. ეს ყველაფერი საჯარიმოს გვერდით ხაზთან ხდებოდა, თანაც კარში „ზესტაფონის" ორი ფეხბურთელი იდგა. წესები გვეუბნება: თუ აშკარა საგოლე მომენტი არ არის, საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მეკარის გაძევება დოგმას არ წარმოადგენს. არბიტრიც ადამიანია და ამ შემთხვევაში ლევან კვარაცხელიამ საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიტანა გადაწყვეტილება.

**გიორგი ნოზაძე**

# დავით ყიფიანის თასი

## მეოთხედფინალი

სამცხე, იმერეთი, შავიზღვისპირეთი და მცხეთა — გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგის მაგვარ სანახაობას არ ვპირდებით, მაგრამ რისი ნახვაც ცოცხლად შეიძლება, ნუ გააცდენთ: ოთხივე თუ არა, სამი თამაში მაინც ისეთი იქნება, დაძაბულობა პიკამდე ავა.

მოკლედ, დღეს სათასო მატჩებია. აქედან სამ წყვილში დღესვე გაირკვევა ნახევარფინალისტი, ერთში კი... სწორედ აქედან დავიწყოთ



მეოთხედფინალის პირველ მატჩში ამერელმა სულიკო დავითაშვილმა „კოლხეთს" პენალტითაც ვერ გაუტანა

# შავი ზღვიდან მცხეთამდე

## სამი კითხვის და ერთი ძახილის ნიშანი

ზესტაფონი. 7 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — დინამო

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); დ. სანაია (ზუგდიდი); **დამკვირვებელი:** ვ. ეჯიბია

„ზესტაფონ" — „დინამოს" პირველი მეოთხედფინალური მატჩი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს. გეხსომებათ, ეს თამაში 18 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმერული დიდთოვლობის გამო გადაიდო.

„ზესტაფონმა" შარშან უკვე გააგდო დინამოელები თასიდან და საერთოდაც, ბოლო ურთიერთშეხვედრებში ფეროელები საგრძნობლად მძლავრობენ. კიდევ რითაა გამორჩეული ეს ჯახი? იმით, რომ ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობითაა, ორივემ ორ-ორი მოგებით დაიწყო მეორე წრე და ხასიათზეც არიან. იმერელთა მთავარი იმედი ზურაბ იონანიძე იქნება, ვისაც „დინამოს" კარში იმდენი გოლი გაუტანია, თავადაც აერეოდა სათვალავი. სტუმრებიდან კი, აბა, როგორ არ ვთქვათ ამბროზიოზე: ბრაზილიელმა ნახევარმცველმა სამი დღის წინ „თბილისი" საშინელ დღეში ჩააგდო, შეცვლაზე შესულმა ჰეთ თრიქი გააკეთა.

ბორჯომი. 7 მარტი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — სიონი (0:1)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი); **დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

...არჩილ ალავიძის ბოლო წუთზე გატანილმა საჯარიმომ ფავორიტობის სასწორი „სიონისკენ" გადასწია — ბოლნისელებმა 1:0 მოუგეს „ბორჯომს" და არცთუ მწირი მარაგით ჩადიან კურორტზე. ვლადიმერ ხაჩიძეს კონტინგენტი არ დაეწუნება, მაგრამ „ბორჯომმა" ჯერაც ვერ იპოვა თავისი თამაში. აგერ, მეორე წრეც ღარიბულად დაიწყო, ხოლო კახა ცხადაძის „სიონი" მიჯრით იგებს, თან გოლგაუშვებლად.

და მაინც, ვფიქრობთ, „ბორჯომი" კბილებალესილი იბრძოლებს ნახევარფინალში გასავლელად და ხელოვნურ საფარზე ძაან თამაში უნდა გამოვიდეს.

*იური გაბისკირია, „ბორჯომის" კაპიტანი:* შესაძლოა, ეს წლის უმთავრესი მატჩი იყოს ჩვენთვის და სერიოზულად ვემზადებით, ხოლო შანსებს თანაბრად ვანაწილებ. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია, წაგებული გვაქვს და ვალდებულები ვართ, შევუტიოთ.

*კოკა მიკუჩაძე, „სიონის" თავდამსხმელი:* ერთი ვიცი, ძალიან კარგი თამაში იქნება. ანგარიში ოდნავადაც არ გვამშვიდებს, „ბორჯომი" ძლიერი გუნდია და ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს. უნდა მოვახერხოთ და ერთი გოლი მაინც გავიტანოთ. ამ შემთხვევაში „ბორჯომს" სამი ბურთი ექნება შესაგდები და...

ფოთი. 7 მარტი. 14 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ამერი (0:0)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

...ფოთში გადავინაცვლოთ, სადაც „კოლხეთი" გლდანიდან სენსაციურად წაღებული 0:0-ის გამდიდრებას შეეცდება. პირველი მატჩი მართლაც უცნაური იყო, „ამერმა" მთელი თამაში შეტევაში გაატარა და კოლხთა კარს ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სტუმრები აუტსაიდერები იყვნენ — ფოთელებმა მარტო არგაშვებაზე კი არა, გატანაზეც უნდა იფიქრონ, ეს კი გიორგი ჩიხრაძის გუნდს ხელ-ფეხს გაუხსნის.

*სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:* ტრავმირებული ილია ქუტიძე და დისკვალიფიცირებული გიორგი კილასონია დაგვაკლდებიან. პირველი თამაშის ანგარიში არ გვატყუებს: „ამერის" ძალა კარგად ვიცი, ჩვენზე გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს. ისე, არც იმას გამოვრიცხავ, პენალტების სერიამდეც მივიდეს საქმე.

*გიორგი ჩიხრაძე, „ამერის" მწვრთნელი:* ჩვენვე გავირთულეთ მდგომარეობა, როცა შინ „კოლხეთს" გოლი ვერ გავუტანეთ. არა მგონია, მასპინძლებმა გახსნილი და შემტევი ფეხბურთი ითამაშონ. ფოთელებს დაბალანსებული გუნდი ჰყავთ, მაგრამ მათგან ჯონი შალამბერიძეს მაინც გამოვარჩევ. შანსები თანაბარია, თუმცა ნებისმიერ კარში გასული ერთი გოლი მნიშვნელოვნად შეცვლის თამაშის სურათს. დისკვალიფიკაციის გამო ალეკო კოშკაძე დაგვაკლდება, სამაგიეროდ, გიორგი დავითნიძე დაგვიბრუნდა.

მცხეთა. 7 მარტი. 14 საათი. არმაზი

### ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია (1:3)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. სილაგავა (თბილისი); **დამკვირვებელი:** ს. კვარაცხელია

...და მეოთხე, შედარებით იოლად პროგნოზირებად წყვილსაც მივადექით: „ვიტ ჯორჯიამ" შინ 3:1 მოუგო „ლოკომოტივს" და ძნელი საფიქრებელია, უპირატესობა გაფანტოს. ანგარიში მყიფეა, მაგრამ „ლოკომოტივი" აღარაა შარშანდელივით ჩაუქი და თან ეს თამაშიც მცხეთაში გაიმართება.

ასე გვგონია, ვიტელები ოფლის გარეშე უნდა გავიდნენ ნახევარფინალში და ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

17 ტური მიმოხილვა

# ИЗЮМИНКА

## ამას ჩერნიშოვისგანაც მოითხოვენ

**გვაქვს** უფლება, რომ ვთქვათ: მე-17 ტური საინტერესო და მძაფრი გამოდგა, თუმც ამ ორი ეპითეტის მიღმა რამდენიმე რამ ტივტივდება.

არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ „ზესტაფონ" — „ამერამდეც" მიგვაჩვია იმას, რომ აქვს უნარი, არაადეკვატური გადაწყვეტილებები მიიღოს. ჯერ იყო და, საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრაში ძალიან საეჭვო გადაწყვეტილებები მიიღო, შემდეგ „სიონ" — „ბორჯომის" სათასო მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში ბოლო წუთებზე „ბორჯომს" კუთხური არ დაუნიშნა, „სიონმაც" ბურთი თამაშში შეიყვანა და იმ შეტევისას გამარჯვების გოლსაც გამორჩა. ამჯერად კი კვარაცხელიამ ზესტაფონელთა მეკარე გრიგოლ ჭანტურია არ გააძევა — ბოლო იმედის ჯარიმისთვის ოდენ ყვითელი ბარათი აჩვენა.

კვარაცხელიას ქმედებამ მნიშვნელოვნად განაპირობა „ზესტაფონ" — „ამერის" შედეგი, მაგრამ ამით თამაშს ეშხი არ დაჰკარგვია — მიმდინარე სეზონში ეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსასეირო მატჩი გამოდგა.

მსაჯთან პრეტენზია იყო „თბილის" — „დინამოს" შეხვედრაშიც, როცა თბილისელ ირაკლი ქლენტს მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს და გააძევეს — არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას ასეთი შეცდომები არ სჩვევია და ვივარაუდოთ, რომ ეს, უბრალოდ, შეცდომა იყო.

მსაჯობაზე არანაკლებად აქტუალურია ჩვენი უტიტულოვანესი გუნდი თბილისის „დინამო", რომელმაც მესამე ადგილს თავი უნდა დააღწიოს და ჩემპიონი გახდეს — ასეთია „დინამოს" მიზანი და „თბილისთან" რომ ვერ მოეგო, ამოცანას ძალიან გაირთულებდა. წინა შეხვედრაში თელავის „კახეთთანაც" ბეწვის ხიდზე გაიარეს დინამოელებმა და მატჩის ბოლოს თელაველი კობაიძის ავტოგოლით გაიმარჯვეს. ერთი სიტყვით, კაჟიანი „დინამოს" ნახვა მოგვენატრა, ისეთის, მეტ ხალისს და ინტერესს რომ შემატებს მეჩვიდმეტე ეროვნულს, თორემ სეზონის მეორე ეტაპზე „დინამომ" ორჯერ ითამაშა და ორივეჯერ მოიგო.

დინამოელთა დამრიგებელმა ანდრეი ჩერნიშოვმა ნამატჩევს კომპლიმენტი უძღვნა „თბილისს" — მიკვირს, ასეთი გუნდი ბოლო ადგილზე რომ არისო. მართლაც, სანამ „თბილისს" ჯანი ერჩოდა, მეტოქეს ჯობნიდა კიდეც, ხოლო როცა ძალა გამოელია, მეორე ტაიმში ამბროზიოთი და სანდრო იაშვილით მოლონიერებულ „დინამოსთან" ვერაფერი გააწყო.

„თბილისის" კარში სამი გოლის გამტან ამბროზიოზე ჩერნიშოვი ადრე ამბობდა, შემტევი ტიპის ნახევარმცველი არ არის, უფრო საყრდენი შუახაზელის პოზიციაზე ვუპირებთ გამწესებასო, თუმც „თბილისთან" სულ სხვანაირი ამბროზიო ვნახეთ. ჩერნიშოვი გაწბილებული იყო „დინამოს" მეორე ბრაზილიელის, ვიეირას არაშთამბეჭდავი თამაშით, მისგან ИЗЮМИНКА-ს ველოდებითო.

ისე, ალბათ, „დინამოს" გულშემატკივრებიც ელიან ჩერნიშოვისგან ИЗЮМИНКА „დინამოს", მაგრამ „დინამო" ჯერ ისეთი ტორტი არ არის, ქიშმიშის მოყრაღა რომ აკლდეს.

როგორც უნდა იყოს, „დინამო" კვლავაც ძალიან საინტერესო თემად რჩება ჩვენთვის და უახლოეს თამაშებში ამ გუნდის ძალა უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.

დიდად მოსაწონი ვერც „ვიტ ჯორჯიას" თამაში გამოდგა „სოხუმთან", თუმც მთავარი სამი ქულაა, რაც არცთუ ძნელად მოიპოვა „სიონმაც" „დილასთან" მატჩში — ამ ტურს ცხრილის ზედა სამეულში ქულათა ბალანსი არ შეუცვლია.

სამეულის ქვემოთ ისეთი „ლოკომოტივია", მეორე წრეში დიდი მიზნებისთვის რომ ვერ იბრძოლებს და რომლის ქვემოთაც ამბიციური „ზესტაფონი" და „ამერი" არიან.

ბათუმელებმა იოლად მოუთავეს საქმე თბილისურ „სპარტაკს" და აჭარელთა ბრაზილიელმა ახალწვეულმა ტიაგომ სუპერგოლიც გაიტანა. „ბათუმი" მეორე წრეში უწინდელზე უკეთესი გუნდი უნდა იყოს, მაგრამ სატურნირო ვითარება ისეთი აქვს, რომელიმე ევროსაგზურისთვის ბრძოლა ძალიან გაუძნელდება.

ზღვისპირელებს ერთი საფეხურით უსწრებენ ბორჯომელები, რომლებიც ფოთში ფრეს გამორჩნენ და „კოლხეთთან" სტუმრად მოპოვებული ქულა ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. „ბორჯომს" მალე გოჩა ხოჯავაც შეეშველება და ამ ნიჭიერი გამთამაშებლით კურორტელები ალბათ მნიშვნელოვნად გაძლიერდებიან.

და რომელი გუნდი თუ მწვრთნელი იყო ამ ტურში საუკეთესო? ღმერთმანი, ძალიან საკამათოა...

**დავით თავართქილაძე**


გურამ წულუკიძის ფოტო

„დინამო" ფერხზე ამბროზიომ მოიყვანა

### სიმბოლური ნაკრები

| მოთამაშე | გუნდი |
|---|---|
| რევაზ ჯიძია | ბათუმი |
| ვახტანგ კვარაცხელია | თბილისი |
| გოგი ფიფია | ზესტაფონი |
| გიორგი ძელიძე | ზესტაფონი |
| ამბროზიო | დინამო |
| მიხეილ სოსელია | კახეთი |
| გრიგოლ დოლიძე | ამერი |
| ოლეგ გველესიანი | ვიტ ჯორჯია |
| შალვა ღონღაძე | ზესტაფონი |
| ზურაბ იძონია | ბათუმი |
| ირაკლი თოთლაძე | ბათუმი |

გუნდი: ბათუმი

მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11-დვალი | სიონი/დინამო |
| 8-ძორიძე | ბორჯომი |
| მეგრელაძე | დინამო |
| იონანიძე | ზესტაფონი |
| მიძუჩაძე | სიონი |
| 7-ქუთათელაძე | კოლხეთი |
| დავითაშვილი | ამერი |
| სულთანიშვილი | დილა/ცხინვალი |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ცენტრალური" ზესტაფონი | ზესტაფონი 1:0 ამერი | 8,0 | 7,5 | 9,0 | 8,1 |
| „ოლიმპი" თბილისი | თბილისი 2:3 დინამო | 7,5 | 7,0 | 6,5 | 7,0 |
| „გ. ჩოხელი" თელავი | კახეთი 4:0 ცხინვალი | 7,0 | 6,5 | 7,0 | 6,8 |
| „ფაზისი" ფოთი | კოლხეთი 0:0 ბორჯომი | 6,0 | 6,0 | 6,5 | 6,1 |
| „დინამო" ბათუმი | ბათუმი 5:0 სპარტაკი | 6,0 | 5,5 | 5,0 | 5,5 |
| „მ. მესხი" თბილისი | ლოკომოტივი 2:3 ტორპედო | 6,0 | 6,0 | 3,0 | 5,0 |
| „თ. ბერეძიძე" გორი | დილა 0:2 სიონი | 5,5 | 5,0 | 4,0 | 4,8 |
| „არაგვი" მცხეთა | სოხუმი 0:1 ვიტ ჯორჯია | 5,5 | 5,0 | 1,0 | 3,8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 17 | 13 | 3 | 1 | 37:10 | 42 |
| სიონი | 17 | 13 | 2 | 2 | 34:12 | 41 |
| დინამო | 17 | 12 | 2 | 3 | 29:9 | 38 |
| ლოკომოტივი | 17 | 10 | 3 | 4 | 28:13 | 33 |
| ზესტაფონი | 17 | 10 | 3 | 4 | 21:12 | 33 |
| ამერი | 17 | 10 | 2 | 5 | 20:11 | 32 |
| ბორჯომი | 17 | 10 | 1 | 6 | 29:16 | 31 |
| ბათუმი | 17 | 8 | 4 | 5 | 19:12 | 28 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 2 | 8 | 16:20 | 23 |
| კახეთი | 17 | 6 | 1 | 10 | 18:26 | 19 |
| დილა | 17 | 5 | 1 | 11 | 21:27 | 16 |
| ტორპედო | 17 | 4 | 4 | 9 | 14:24 | 16 |
| ცხინვალი | 17 | 4 | 3 | 10 | 14:33 | 15 |
| სოხუმი | 17 | 3 | 1 | 13 | 17:41 | 10 |
| სპარტაკი | 17 | 2 | 2 | 13 | 4:33 | 8 |
| თბილისი | 17 | 1 | 2 | 14 | 11:33 | 5 |

### მომდევნო ტური

11 მარტი, შაბათი

ბორჯომი – სოხუმი
ამერი – ლოკომოტივი
ტორპედო – დილა
სიონი – ბათუმი
სპარტაკი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – კახეთი
დინამო – ზესტაფონი
ცხინვალი – თბილისი



ჯაბა კანკავამ (№6) უკრაინის ჩემპიონატი დააჭაშნიკა

გუშინწინ უკრაინაში ჯაბა კანკავას დებიუტი შედგა. მისმა „არსენალმა" „ხარკოვს" უმასპინძლა. ჯაბამ შეუცვლელად ითამაშა, მატჩი კი უგოლოდ დამთავრდა. ჩვენი უკრაინელი კოლეგების აზრით, ქართველი ნახევარმცველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, თუმცა თავად ჯაბა ამბობს, რომ სანაკრებო მატჩების შემდეგ ახალ გუნდს ცოტა გადაღლილი დაუბრუნდა და შესაძლებლობები ბოლომდე ველარ გამოავლინა.

კიევის „არსენალში" ჯაბა კანკავა ერთი თვის წინ გადავიდა. გუნდთან ერთად ანთალიაში ემზადებოდა, მერე ერთი კვირით საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს. მალტიდან კიევში დაბრუნებულმა კი სადებიუტო მატჩი ჩაატარა...

# კანკავა ნაკრებმა დაღალა

## არსენალი თუ გავარდა...

— „ხარკოვთან" შეუცვლელად ვითამაშე, მაგრამ თავს ვატყობდი, რომ გადაღლილი ვიყავი. მალტაზე ერთ კვირაში სამი მატჩი გვქონდა, კლუბში დავბრუნდი და მეორე დღესვე ჩემპიონატი განახლდა — გვითხრა ჯაბა კანკავამ — პირველი თამაშით მთლად უკმაყოფილოც არ ვარ, თუმცა მეტიც შემეძლო. ნელ-ნელა ახალ გუნდს უფრო შევეჩვევი და მომავალში უკეთაც ვითამაშებ.

— ახალ გუნდში ძველ პოზიციაზე თამაშობ?

— ისევ საყრდენ ნახევარმცველად, თუმცა „არსენალი" სამი საყრდენით თამაშობს და შეტევებშიც ხშირად ვერთვები.

— „არსენალი" უკრაინის ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა. ასეთ გუნდში თამაში გაკმაყოფილებს?

— ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა, რაც დარწმუნებული ვარ, „არსენალში" მექნება. გუნდთან კონტრაქტი დეკემბრამდე მაქვს, თუმცა „არსენალი" უმაღლესი ლიგიდან თუ გავარდება, კონტრაქტიც გაუქმდება.

— „ალანიამ" საბოლოოდ გაგათავისუფლა?

— არა, „ალანიამ" გამანათხოვრა. ისე კი, „არსენალმა" უმაღლესში ადგილი თუ შეინარჩუნა, შესაძლოა, კიეველებმა „ალანიას" სატრანსფერო თანხა გადაუხადონ და ოსებსაც მოვშორდე. ყველაფერი მაინც „არსენალზეა" დამოკიდებული. იმედი მაქვს, გუნდი არ გავარდება. მეორე წრეში კარგი კალენდარი გვაქვს, არც კონკურენტებთან ვართ უსაშველოდ ჩამორჩენილები.

— რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებს შორის დიდი განსხვავებაა?

— ფიზიკური მომზადებით რუსული და უკრაინული გუნდები თითქმის ერთ დონეზე არიან, იქაც და აქაც ბევრი ბრძოლა და უხეშობაა, თუმცა რუსეთში ტაქტიკურად უფრო განსწავლულები არიან, შედარებით სანახაობრივ ფეხბურთსაც თამაშობენ.

— სანაკრებო ამბებზეც ვთქვათ. ახალ მწვრთნელზე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?

— კლაუს ტოპმიოლერი საქმის ძალიან მცოდნე ხომ არის და, რაც არანაკლებ მესიამოვნა, კარგი პიროვნებაა, თბილი და ყურადღებიანი. როცა ის ფეხბურთზე ლაპარაკობს, ტაქტიკას არჩევს, ყველაფერი გასაგებია. ეტყობა, რომ უდიდესი გამოცდილება აქვს.

— მალტაზე ტოპმიოლერთან პირისპირ არ გისაუბრია?

— როგორ არა, ის ყველა ფეხბურთელს ცალ-ცალკე ელაპარაკა. გამომკითხა, ადრე სად ვთამაშობდი, ახალ გუნდში რა ხდება, რა გეგმები გაქვსო. ყველაფერი აინტერესებს და ყურადღებით გისმენს.

— პირველი სანაკრებო გოლიც ახლა გაიტანე...

— და ძალიანაც გავიხარე. როცა ლევან კობიაშვილმა ჯარიმიდან ჩააწოდა, მწვრთნელის მიერ მითითებული ადგილისკენ გავქანდი და ბურთიც იქ დაეშვა.

— ეს საგოლე კომბინაცია ვარჯიშებზე დაამუშავეთ?

— ვარჯიშებზეც და ისეც, მატჩის დაწყების წინ გასახდელში იყო ნახაზი გამოკრული. სტანდარტული მდგომარეობებისას ყველა ფეხბურთელმა თავისი საქმე იცოდა. ნახაზზე მცველებისა თუ შემტევების მოძრაობა მწვრთნელმა სათითაოდ მონიშნა და ჩვენც, რაც გვევალებოდა, ის გავაკეთეთ.

**ქობა ინასარიძე**

# ქართველები უცხოეთში

# ლევან კობიაშვილის სიმბოლური პასები

**ამ** უქმეების საუკეთესო ქართველ ლეგიონერად თამამად შეგვიძლია, *ლევან კობიაშვილი* დავასახელოთ. გელზენკირხენის „შალკემ" სტუმრად 2:1 მოუგო „ჰანოვერს" და ორივე გოლი ჩვენებურის პასით გავიდა. კობიაშვილმა სრულად ითამაშა და ერთხელ გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი. გერმანელმა ჟურნალისტებმა კი ის ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

„მილანს" დაუბრუნდა *კახა კალაძე*. შავ-წითლებმა 3:0 გაანადგურეს „ემპოლი", საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კი 90 წუთი დაყო მოედანზე.



მეგოლე კრისტიან პოულსენი მეპასე ლევან კობიაშვილს ემადლიერება

რუსული სეზონი თასის მერვედფინალით განახლდა და ქართველთაგან მხოლოდ *დავით მუჯირის* „კრილიამ" მოიგო. წაგებულთაგან კი ყველაზე მოულოდნელი *რევიშვილ-ქინქლაძე-სალუქვაძის* „რუბინის" წაფორხილება იყო — ყაზანელები შინ იაროსლავლის „შინიკს" დაეჩაგვრინენ.

სეზონი განახლდა უკრაინაშიც და ვერ ვიხსენებთ, ამდენ ქართველს ამ ქვეყანაში ოდესმე ეთამაშოს. უფრო საინტერესო კი ისაა, რომ თერთმეტი ჩვენებურიდან მხოლოდ ერთმა, *ვასილ გვიაძის* „კრივბასმა" წააგო...

**ქახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ემპოლი 3:0 | 90 | | 18 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰანოვერი 2:1 | 90 | 2 საგოლე პასი, გააფრთხ. | 23 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | აინტრახტი 1:1 | 0 | | 14 | 0 | 13 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | უნტერჰახინგი — გად. | | | 20 | 4 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | უნტერჰახინგი — გად. | | | 2 | 0 | 3 |
| დავით სირაძე | აუე | შ | კოტბუსი 1:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 13 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | შ | ვუპერტალი — გად. | | | 18 | 1 | 3 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | ს | ლაუტერნი (მ) — გად. | | | 16 | 12 | 11 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ტოტენჰემი 2:3 | 0 | | 17 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ნაიმეგენი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 20 | 3 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ჰერაკლესი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 9 |
| **რუსეთი. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | დინამო 2:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | შ | მოსკვა 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | შ | სპარტაკი 0:1 | 0 | | | | |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | შინიკი 0:1 | 0 | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | შ | შინიკი 0:1 | 90 | | | | |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | შინიკი 0:1 | 90 | | | | |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | შ | შინიკი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ილიჩევეცი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ილიჩევეცი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | ს | ილიჩევეცი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | კრივბასი 2:1 | 0 | | 4 | 2 | 11 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | კრივბასი 2:1 | 90 | | 1 | 0 | 11 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | მ. დონეცკი 2:0 | 85 | შეცვალეს | 17 | 6 | 6 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | ვორსკლა 2:1 | 90 | | 12 | 0 | 4 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | ვორსკლა 2:1 | 90 | | 1 | 0 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 72 | შეცვალეს | 18 | 5 | 13 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | ს | შახტარი 1:1 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | შ | ხარკოვი 0:0 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ეგალეო 1:0 | 0 | | 16 | 0 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

# ისტორიას ისტერია ქმნის



**ბარსელონა (ესპანეთი) – ჩელსი (ინგლისი) (2:1)**

| ბარსელონა | ჩელსი |
|---|---|
| ვ. ვალდესი, ბელეტი (ან ოლეგერი), პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი (ან სილვინიო), დეკო, ედმილსონი, მოტა, რონალდინიო, ეტოო, მესი | ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, მაკელელე, ლამპარდი, გუდიონსენი, ჯ. კოული, კრესპო (ან დროგბა), რობენი (ან დაფი) |

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

დისკვალიფიცირებულნი: *ბარსელონა:* არავინ; *ჩელსი:* მიკაელ ესიენი (1 მატჩი), ასიერ დელ ორნო (1 მატჩი)

## ჩელსის სასტუმროს ჯოჯოხეთი ჰქვია, მაურინიუს — ყველაზე საძულველი კაცი






**მტრისას,** ჟოზე მაურინიუს ბარსელონის „პრატის" აეროპორტში დახვედრა ჰქონდა — „ბარსას" ფანებმა სადღეისოდ „ნომერ პირველ მტერს" საშინელი ობსტრუქცია მოუწყვეს. ვისღა ახსოვდა ფეხბურთელები, სამიზნეზე პორტუგალიელი მწვრთნელი გახლდათ. იშვიათად, რომელიმე გუნდის მწვრთნელს ისეთი ჯოჯოხეთი გადაეტანოს, მაურინიუს კატალონიის დედაქალაქში რომ შეხვდა. აეროპორტის დაცვას დიდი ჯაფა დაადგათ გამხეცებულ გულშემატკივართა მოსათოკად. TRADUCTOR! — მთელი ხმით ღრიალებდნენ ფანები, რითაც ჟოზეს კარიერის დასაწყისს ახსენებდნენ — მაურინიუ ლისაბონის „სპორტინგში" ბობი რობსონის თარჯიმანი იყო და სახელოვან ინგლისელს მერე „ბარსელონაშიც" ამ რანგში გაჰყვა. „ელ ტრადუკტორ" ესპანურად თარჯიმანია და, ცხადია, ბარსელონელები რასაც ფიქრობენ — იმას, რომ მაურინიუ თავის ოდინდელ თანამდებობაზე გაიყინა და ფეხბურთისა არაფერი გაეგება. პორტუგალიელმა ინჩასების შემოტევა თავისებურად, ექსტრავაგანტურად მოიგერია, ყურსასმენი ეკეთა, მუსიკას უსმენდა და მაგინებელთ ორაზროვანი ღიმილით და მოსმენილი მელოდიის სტვენით პასუხობდა... აფერუმ, პორტუგალიელს, რკინის ნერვები ჰქონია. ჟოზემ ავტობუსამდე გზა სწრაფად გაიარა, თავისი ადგილი დაიკავა და ვიდრე „ჩელსის" ფეხბურთელები ავტობუსში ავიდოდნენ, კიდევ ერთხელ მოასწრო გავეშებულ დამხვდურთა გადარევა — „ბარსას" ღრიალა ფანებს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და ტაში დაუკრა. ეს კი ველარ მოითმინა მავანმა და სეუ ჟოზეს ბარაქიანად შეაფურთხა — ფანჯრის მინა აქლემის წესით რომ არის წაბილწული, სურათზეც კარგად ჩანს...

ბარსელონელების „გულთბილი" დახვედრით ნირწამხდარი „ჩელსის" ბიჭები ავტობუსში უხმოდ შეიძურწნენ. ფრენკ ლამპარდმა და ერნან კრესპომ (ორივეს ესპანური ეხერხება) კი დააპირეს, ინჩასებისთვის რაღაც ეთქვათ, მაგრამ ხალხი აბობოქრდა და სტემფორდბრიჯელები უმალ გაეცალნენ იქაურობას. „ბარსას" იაპონელ გულშემატკივარს დიდი პლაკატი გამოეფინა — „მაუ, ბარსელონაში მიხვდები, რომ ლამაზ ფეხბურთს ფულით ვერ იყიდი!" ასე დახვდა „ბარსელონას" ინტერნაციონალური ფანობა „ჩელსის"...

„კამპ ნოუზე" ჯახს ერთობ სკანდალური ფონი აქვს. გეხსომებათ მაურინიუმ ორი კვირის წინ „სტემფორდ ბრიჯზე" წაგებული თამაში მსაჯს და ლეო მესის თეატრალობას რომ დააბრალა — „ბარსას" ფორვარდმა დელ ორნოსთან შეჯახება მსახიობურად გაათამაშა, მსაჯმა დელ ორნო გაგვიგდო და უსამართლოდ დავმარცხდითო. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ისიც თქვა, კატალონია თეატრებით მდიდარი მხარეა და მესიც ღირსეული მსახობი გახლავთო. ყველაფერ ამის საპასუხოდ ერთ-ერთი ბარსელონური თეატრი მაურინიუს... სპექტაკლის ბილეთით აჯილდოვებს... წარმოდგენას კი ჰქვია „დედა, მინდა, სახელგანთქმული გავხდე!" კატალონიელ თეატრალებს სპექტაკლზე სეუ ჟოზეს დასწრების სურვილი იმიტომ გასჩენიათ, რომ „როცა მატჩი დამთავრდება, „ბარსასგან" კარამოტენილი მაურინიუ ჩვენთან, წარმოდგენაზე მოვა და ნამდვილი მსახიობების ოსტატობას გულს გადააყოლებს. იქნებ ჟოზემ ისწავლოს, დავიდარაბის გარეშე როგორ უნდა გაითქვა სახელი" — განაცხადა თეატრის დირექტორმა.



ჟოზეს მშობლიურ პორტუგალიას კი ვნებიანი მოლოდინის ცეცხლი შენთებია. ვინ დაიჯერებს, მაგრამ იქაური „რეკორდი" წერს — პორტუგალიელ ხალხს არასდროს ისე არავისთვის დაუჭერია მხარი, როგორც დღეს ჟოზე მაურინიუს ქომაგობენ. ანუ, „რეკორდს" თუ დავუჯერებთ, პორტუგალიელებმა ყველა და ყველაფერი დაივიწყეს და მარტო „ჩელსი"... უკაცრავად, მაურინიუ ახსოვთ. ჟოზე, მთელი ქვეყანა შენთანააო, ვეებერთელა სათაურებია პორტუგალიური გაზეთების თავფურცლებზე.

ცოტა რამ „უშუალოდ" მატჩის შესახებ. „კამპ ნოუს" ჯახში „ჩელსიდან" ასიერ დელ ორნო და მიკაელ ესიენი ვერ მიიღებენ მონაწილეობას — ორივეს ჯარიმა აქვს აკიდებული. „ბარსელონას" მექსიკელმა მცველმა რაფაელ მარკესმა ტრავმა მოირჩინა და თამაში შეეძლება. „ბარსას" მაქსი ლოპესი, „არგენტინელი ტანკი", შარშან „ჩელსი" რომ აიკლო და მერე რატომღაც სულ სათადარიგოებშია ჩაჭედილი, ამბობს, რაიკარდმა აუცილებლად წარსული უნდა გაიხსენოს და 7 მარტს ძირითადში დამაყენოსო. „კამპ ნოუზე" აუცილებლად იქნება ლეო მესი — არგენტინელი ბიჭის გარეშე ხომ თეატრმცოდნე მაურინიუ ფრიად მოიწყენს... მატჩის არბიტრი გერმანელი მარკუს მერკია, რომელსაც ანდრეს ფრისკმა, მსაჯმა, ვისი კარიერაც შარშან სწორედ „ბარსა" — „ჩელსის" პირველი მატჩის დროს მომხდარი სკანდალის გამო შეწყდა, სიმშვიდე ურჩია. „სამშაბათის მატჩი ჯოჯოხეთი იქნება, ხოლო ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას იდეალური სიმშვიდით შეძლებ. ყინულივით უნდა იყო" — დაარიგა ფრისკმა მერკი.

**ლადო ხომერიკი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# სიგიჟის სამი წუთი

### იუვენტუსი (იტალია) – ვერდერი (გერმანია) (2:3)

| | |
|---|---|
| ბუფონი, ბალძარეტი, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი | ვიზე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, შულცი, ბაუმანი, ფრინგსი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი |

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

დისკვალიფიცირებულნი: *იუვენტუსი:* არავინ; *ვერდერი:* არავინ



მიროსლავ კლოზემ ბრემენში ვერ გაიტანა, მაგრამ ტურინში ეცდება

**რა არის ეჭვი?** მოდი, პასუხისთვის შორს ნუ წავალთ, ეჭვის კარგი მაგალითი ხომ დღევანდელი ამბებიდანაც შეიძლება ამოვქექოთ: ეჭვი არის იმის ფიქრი, რომ ამ საღამოს ტურინის „იუვენტუსი" ბრემენის „ვერდერს" ვერ დაამარცხებს და ბოლო ოთხ სეზონში მესამედ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ვერ გავა.

და რა განაპირობებს ასეთ ეჭვს? რა და, სიგიჟის სამი წუთი. ეს ლამაზი ფრაზა, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვიგონებია. ის არც იტალიელ ან გერმანელ ჟურნალისტებს მოსვლიათ თავში, სიგიჟის სამი წუთი „იუვეს" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ ახსენა, რომელსაც დღევანდელ მეტოქეთა ორი კვირის წინანდელი მატჩის ბოლო სამ წუთს ახასიათებდა. შეგახსენებთ, რომ ბრემენის „ვეზერშტადიონზე" იტალიის 28-გზის ჩემპიონი 87-ე წუთამდე 2:1-ს იგებდა, მაგრამ ბოლო წუთებში გერმანიის ოთხგზის ჩემპიონმა შტურმი მოუწყო, ორი გაუტანა და 3:2 მოუგო.

ერთი სიტყვით, დღეს „სტადიო დელე ალპიზე" „იუვენტუსს" 1:0-იც ჰყოფნის ჩვენი თუ სხვისი ეჭვის გასაქარწყლებლად, თუმცა, ცხადია, არის ხალხი, რომელსაც ეს ოხერი და ტიალი ეჭვი სულაც არ ღრღნის. ასეთია, მაგალითად, ზემოხსენებული ლუჩანო მოჯი, რომელმაც ბრძანა:

„არ მინდა, ვინმეს ქედმაღალი ვეჩვენო, მაგრამ მწამს, რომ თამაში ჩვენთვის სასურველი შედეგით დამთავრდება. თუ ბრემენული მატჩის ბოლოს გადახდენილ სიგიჟის სამ წუთს არ ჩავთვლით, შეგრძნება იმისა, რომ ჩვენ მეტოქეზე ძლიერი გუნდი გვყავს, მუდმივად მსდევდა და ამიტომაც მწამს, რვა უძლიერესს შორის ჩვენ მოვხვდებით".

მოჯის გერმანელი კოლეგა, „ვერდერის" გენერალური მენეჯერი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კლაუს ალოფსი კი ასე ამბობს:

„ჩვენ ის გუნდი აღარ ვართ, შარშან ამ დროს „ლიონთან" ორი მატჩის ჯამში 3:10 რომ წააგო. ჩვენ მაშინდელი კატასტროფა გონებიდან ამოვიგდეთ, თუმცა დასკვნებიც გავაკეთეთ".

ახლა სტატისტიკასაც ჩავხედოთ. ბოლოს როდის წააგო „იუვენტუსმა" შინ? როდის და, 2003-2004 წლების სეზონში, პლეი ოფში, „დეპორტივო ლა კორუნიასთან". მას მერე „ბებერმა ქალბატონმა" „დელე ალპიზე" შვიდი მოიგო და ერთი ფრედ ითამაშა.

და როდის მოიგო „ვერდერმა" ბოლოს იტალიაში? 1989-1990 წლების სეზონში, უეფას თასზე, „ნაპოლისთან". ყურადღება: მაშინ, „ნაპოლიში" დიეგო მარადონა თამაშობდა!

დავუბრუნდეთ ჩვენს დროს და ვნახოთ, რა პრობლემები ჰქონდა დღევანდელი მატჩის წინ როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდს. „იუვენტუსს" ორი ფორვარდი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და დავიდ ტრეზეგე ჰყავდა ექიმთან — მათ შაბათს იტალიის ჩემპიონატის ტური გამოტოვეს — ორივეს კოჭის პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი და, რამდენადაც ვიცით, მთლად ბოლომდე ვერ მოიგვარეს. ამბობენ, რომ იბრაჰიმოვიჩის თამაში კიდევ მოსალოდნელია, ტრეზეგე კი უფრო სათადარიგოთა სკამზე იქნებაო. აქ ირონიის ნება დაგვრთეთ, თუ შეიძლება: საბრალო „იუვენტუსი", ალესანდრო დელ პიეროს იმედზე უნდა იყოს.

„ვერდერს" კი მხოლოდ ბრაზილიელი მცველი ნალდო თუ დააკლდება.

**პაპუნა ქედია**

### ვილიარეალი (ესპანეთი) – რეინჯერსი (შოტლანდია) (2:2)

| | |
|---|---|
| ვიერა, ხავი ვენტა, გონსალო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, ექტორ ფონტი (ან ხოსიკო), სენა, ტაკინარდი (ან სორინი), რიკელმე, ფორლანი, გ. ფრანკო | ვატერეუსი, ჰატონი, კირიაკოსი, ს. სმიტი, ჟ. როდრიგესი, ბ. ფერგიუსონი, ჰემდანი, ბარკი, ბუფელი, ლოვენკრანდსი, ბოიდი |

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

დისკვალიფიცირებულნი: *ვილიარეალი:* არავინ; *რეინჯერსი:* დადო პრსო (1 მატჩი)

# რეინჯერსს სტატისტიკა აჰრჩობს



დადო პრსო „რეინჯერსს" ვერ დაეხმარება

**ამ წყვილის** ფავორიტად თავიდანვე „ვილიარეალი" ითვლებოდა, „აიბროქსზე" ნათამაშები 2:2-ის მერე კი ესპანელები საბოლოო წარმატებაში დარწმუნებულნი არიან, მაგრამ ბურთი მრგვალია და ალექს მაკლიშსაც ყურები ჯერ არ ჩამოუყრია. არადა, სტატისტიკიდან დაწყებული, დღევანდელი მდგომარეობით დამთავრებული, თითქმის ყველაფერი „ვილიარეალის" სასარგებლოდ მეტყველებს.

პირველ რიგში, „რეინჯერსს" სულ ცოტა, ერთი გოლის გატანა მოუწევს, რათა მეოთხედფინალზე იფიქროს. თუმცა გლაზგოელებს სტუმრად ესპანურ კლუბებთან მეტოქის კარი ჯერ არასდროს დაულაშქრავთ. მეტიც, მათთვის პირინეებზე საუკეთესო შედეგი 0:2 მარცხია, ამ ანგარიშით „ჩაფრებმა" ოთხჯერ წააგეს. ერთხელ კი მადრიდის „რეალთან" სულაც განადგურდნენ (0:6). ჩემპიონთა ლიგაში ბოლო 21 გასვლითი მატჩიდან კი „რეინჯერსს" ოდენ სამი მოუგია.

რაც შეეხება „ვილიარეალს", რომელიც ჩემპიონთა ლიგაში თავის სადებიუტო სეზონს ატარებს და თან ასე წარმატებულად, შინ ტრადიციულად ძლიერია. ევროტურნირებზე „ელ მადრიგალზე" ჩატარებული 16 მატჩიდან 13-ში კარი მშრალად შეინახეს, სულ კი 4 გოლი გაუშვეს. მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაში კი საერთოდ არ დამარცხებულან.

„პრიმერადივიზიონის" გასულ ტურში „ვილიარეალმა" ერთ-ერთ აუტსაიდერთან, „ალავესთან" მოიპოვა 3 ქულა. გუნდმა იმ მატჩში თავი არ დაზოგა, მაგრამ ფეხბურთელებიც და მწვრთნელიც დარწმუნებულნი არიან, რომ „ჩაფრებთან" თამაშის წინ ეს „ვილიაზე" უფრო დადებითად იმოქმედებს, ვიდრე უარყოფითად. მანუელ პელეგრინიმ შეიძლება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ხუან პაბლო სორინი ვერ დაიხმაროს, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს, თუმცა არგენტინელს არანაკლებ გამოცდილი იტალიელი ნახევარმცველი ალესიო ტაკინარდი შეცვლის.

„ალავესთან" მატჩში საკმაოდ დავიხარჯეთ, მაგრამ მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და კარგი განწყობაც შევიქმენით. ჩვენი მოტივაცია გაიზარდა და გლაზგოში დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ" — თქვა ესპანელთა ნახევარმცველმა მარკოს სენამ.

„ვილიარეალის" მცველი ხავი ვენტა: „თუ ბოლომდე მობილიზებულნი არ ვიქნებით, დავისჯებით. ამიტომ ყურადღება არც ერთი წუთით არ უნდა მოვადუნოთ".

შემადგენლობასთან დაკავშირებით არანაკლები პრობლემები აქვს „რეინჯერსს". „ჩაფრების" რამდენიმე ფეხბურთელს გრიპი შეეყარა და ამის გამო მათ გასულ უქმეებზე „ფოლკირკთან" ვერ ითამაშეს („რეინჯერსმა" 2:1 მოიგო), მაგრამ ახლა მწყობრში არიან. საეჭვოა ტომაშ ბუფელის, პეტერ ლოვენკრანდსისა და ჰამედ ნამუშის თამაში. გლაზგოელთა ფორვარდი დადო პრსო კი დისკვალიფიცირებულია.

„იმედია, გრიპი აღარ შეგვაწუხებს. რაც შეეხება ტრავმირებულებს, ექიმები ცდილობენ, ბუფელი და ლოვენკრანდსი მწყობრში ჩააყენონ, ხოლო ნამუშის, სამწუხაროდ, თამაშის ძალიან მცირე შანსი აქვს, მას მუხლი სტკივა. ძალიან დაგვაკლდება პრსოც, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვიბრძოლოთ და ასეც იქნება" — განაცხადა „რეინჯერსის" მთავარმა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

### ინტერი (იტალია) – აიაქსი (ჰოლანდია) (2:2)

საპასუხო მატჩი გაიმართება 15 მარტს

# ნაღდი ამბავი გერმანელების გასახდელიდან



ზენკე ვორტმანი

**მსოფლიოს** ჩემპიონატი რომ მოდის, მისმა ოცდათორმეტივე მონაწილემ ფიფაში თავიანთი დელეგაციების ოფიციალური სიები ხომ უნდა შეიტანოს?! ჰოდა, აბა, გამოიცანით, ვინ ჩაწერეს გერმანელებმა თავიანთ სიაში პირველად. ვერაფრით გამოიცნობთ, რადგან ის არც ფეხბურთელია და არც მწვრთნელი, ის 46 წლის რეჟისორი ზენკე ვორტმანი გახლავთ. და რით არის ღირსშესანიშნავი ჰერ ვორტმანი? საფეხბურთო წარსულით? ვაგლახ, ის ამით ნამდვილად არ არის ცნობილი, ოდესღაც მეორე ბუნდესლიგაში უთამაშია და სულ ეს არის. სამაგიეროდ, რაც ხელში კამერა აიღო, ერთი მეორეზე საინტერესო ფილმებს იღებს.

ამ დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმების სახელების ჩამოთვლა ჩვენს მკითხველს ნამდვილად არაფერს მისცემს, მით უფრო, რომ ბევრი მათგანი სპორტზე სულაც არ არის, თუმცა ძნელი მისახვედრი არ გახლავთ, რომ ვორტმანისთვის საფეხბურთო თემა ახლობელია. ასე, მაგალითად: ფილმს, რომელიც 52 წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს და გერმანიის ნაკრების შვეიცარიულ ტრიუმფს ეძღვნება, „ბერნის სასწაული“ ჰქვია. ვითომ, რა, ახლა „ბერლინის სასწაული“ მზადდება?

მზადდება თუ არ მზადდება, როგორც ზოგადად გერმანული ფეხბურთის, ასევე უშუალოდ ნაკრების შეფებმა და ფიფას მოხელეებმა ზენკე ვორტმანს მუშაობის ნება მისცეს, რადგან იციან, რომ რაც გამოუვა, კარგი იქნება. მეტიც, ბუნდესნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანი და ძმანი მისნი, ოლივერ ბირჰოფი და სხვანი, ვორტმანს სათადარიგოთა სკამზე და თვით გასახდელში ყოფნის ნებასაც კი აძლევენ. მენეჯერი ბირჰოფი იმასაც ამბობს, რომ ფეხბურთელებს რეჟისორის შორიახლოს ტრიალი საერთოდ არ აწუხებთ.

აღსანიშნავია, რომ ზენკე ვორტმანმა მსგავსი ფილმის გადაღება ჯერ კიდევ რუდი ფიოლერის მწვრთნელობის დროს ითხოვა, რაზეც პასუხად მიიღო, მოვიფიქრებო და ამ ფიქრის დასრულებას დაახლოებით ოთხი წელიწადი ელოდა. კლინსმანი სხვა კაცი გამოდგა, ცოტა ხანი იფიქრა და არც პასუხის თქმა დავიწყებია, მოდი, გადაიღე რაც გინდაო.

მაგრამ არის რაღაც საკითხები, რომელთაც ჯერ კიდევ სჭირდება გარკვევა. კერძოდ, მსოფლიოს ჩემპიონატი ფიფასია და ამ ორგანიზაციამ მისი კადრების კომერციული მიზნით გამოყენება ვორტმანს შეიძლება აუკრძალოს.

„ეს ნიუანსი დასაზუსტებელია“ — ამბობს ბირჰოფი, რომელსაც, თუ გახსოვთ, არცთუ შორეულ წარსულში თავით ჩინებული გოლები გაჰქონდა. თუმცა ხერხი რომ ლონეს სჯობია, ისიც ხომ ვიცით? ხერხი კი ასეთია: არსებობს ფიფას პროგრამა, რომლის მიზანი საბავშვო საფეხბურთო ბანაკების თუ სოფლების შექმნაა. 2006-ში სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა შორის საქართველო არ არის, ასეთი ექვსი უნდა აშენდეს და თუ ვორტმანი იტყვის, რომ მონაგები ფულის ნაწილს ფიფას ამ საქმისთვის მისცემს, ვინ იცის, რა მოხდება.

და ბოლოს, ის, რასაც ზენკე ვორტმანი აპირებს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უკვე ყოფილა — ფრანგებმა 1998 წელს დიდი წარმატებით გადაიღეს ფილმი, რომელშიც გზა ტიტულისკენ ასახეს. ცხადია, იმ ფილმის ავტორებს გაუმართლათ, საფრანგეთის ნაკრები ჩემპიონი გახდა, მაგრამ, ასე რომც არ მომხდარიყო, ასე ვთქვათ, მასალა მაინც უნიკალური იქნებოდა. ამ უნიკალურობის მაგალითი გნებავთ? კი ბატონო, ფილმში მოხვდა კადრები, როგორ არიგებს ემე ჟაკე ფეხბურთელებს ბრაზილიასთან ფინალური თამაშის წინ და როგორ ამახვილებს ყურადღებას კუთხურებზე. ჟაკე ბრაზილიელ მცველთა სიმაღლესა და კუთხურების დროს საჯარიმოში მათ განლაგებაზე აკეთებს აქცენტს, რის შემდეგაც ზიდანს მიმართავს, ყოველივე ამის გამო ჯობს, კუთხურების დროს კარის ახლო კუთხისკენ „შეისეირნოო“. ზიდანმა ორჯერ შეისეირნა...

რამდენჯერ შეისეირნებს ბალაკი, დაისლერი ან პოდოლსკი? ვორტმანს დაველოდოთ.

**პაპუნა ძიძია**

# რომიდან იაკინტა ჩანს



**იტალიურ** „რომას“ ტრანსფერები აკრძალული აქვს და სასჯელს ვადა მომავალ ზაფხულს გასდის. დედაქალაქელებიც, ცხადია, უკვე ახალი ფეხბურთელების შეძენაზე ფიქრობენ. გადახალისებას პირველ რიგში თავდასხმა საჭიროებს, სადაც „გლადიატორებს“ ანტონიო კასანოს „რეალში“ გაყიდვის შემდეგ, ფრანჩესკო ტოტის, ვინჩენცო მონტელასა და შაბანი ნონდას გარდა ფაქტობრივად არავინ დარჩათ. თანაც ტოტი და ნონდა ამჟამად ტრავმირებულნი არიან, ხოლო მონტელა ახლახან მომჯობინდა. რომაელები ამიტომაც აპირებენ უდინეზელი ფრანჩესკო იაკინტას ყიდვას.

„ჯერ ადრეა ტრანსფერზე საუბარი. მოლაპარაკებები ალბათ სეზონის ბოლოს დაიწყება. ამჟამად მხოლოდ მიმდინარე სეზონზე ვფიქრობთ და ყველანაირად ვეცდებით, სერია A-ში დავრჩეთ — თქვა „უდინეზეს“ გენერალურმა დირექტორმა პიეტრო ლეონარდიმ.

26 წლის იაკინტამ განსაკუთრებულად კარგად გასული სეზონი ჩაატარა და არც მიმდირეში თამაშობს ცუდად. მისით ხან „ბარსელონა“ იყო დაინტერესებული, ხან „ინტერი“ და სხვა გრანდებიც, თუმცა ამაზე შორს საქმე არ წასულა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ფეხბურთელს ძალიან სურდა უფრო მაღალი კლასის გუნდში გადასვლა. ამის გამო „ფრიულის“ ბინადრებმა იაკინტა დასაჯეს კიდეც და სათადარიგოთა სკამზე დასვეს, რითაც ფაქტობრივად აიძულეს, მათთან 2010 წლამდე გახანგრძლივებინა კონტრაქტი.

როგორც ამბობენ, „უდინეზე“ თავის ფორვარდში 9-10 მილიონ ევროს მოითხოვს, რაც, ალბათ, „რომას“ ეძვირება. თუმცა ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებს იაკინტა 2006 წლის მუნდიალზე, რომელზედაც ადგილი ჯერ გარანტირებული არ აქვს, მაგრამ ნაკრებში სავარაუდოდ მოხვდება.

„რომას“ მეორე სამიზნედ კი „ლეჩეს“ სერბ ფორვარდ მირკო ვუჩინიჩს ასახელებენ, რომელსაც სერია A-ში თამაშის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

**ბოკო ბანდელაძე**

# ჩურჩული



**გერმანიის** ნაკრების კარში ჩადგომაზე ჭიდაობა გრძელდება. ოლივერ კანი თუ იენს ლემანი? იურგენ კლინსმანს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ დაიცავს ბუნდესნაკრების კარს მსოფლიოს ჩემპიონატზე, არადა, ეს დავა სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც კლინსმანი მწვრთნელი გახდა.

კანი და ლემანი გაბუტულებიც კი იყვნენ და არც ახლა ენატკბილობენ, როცა ერთმანეთს შეხვდებიან.

ერთი კვირის წინ იტალიასთან წაგებულ მატჩში კარში იენს ლემანი იდგა და ოთხი გოლი გაუშვა, ოლივერ კანი კი ტრავმირებული იყო და ამიტომ ვერ ითამაშა „სკუადრა აძურასთან“.

გასულ უქმეებზე „ბაიერნი“ — „ჰამბურგის“ შეხვედრაში მასპინძლებმა პირველი გოლი კანის შეცდომის გამო გაუშვეს.

ბაიერნელი ამბობს, რომ ცოტა ხნის წინ კლინსმანმა მიჩურჩულა, პირველი ნომერი შენ ხარ და მუნდიალზე ძირითად შემადგენლობაში იქნებიო. გერმანული „კიკერი“ კი ამტკიცებდა, — ძირითად შემადგენლობაში იენს ლემანს დააყენებენ, კლინსმანისგან შევიტყვეთო.

ბუნდესნაკრების მწვრთნელმა მოკლედ მოჭრა: „სეზონის ბოლოს გამოჩნდება, ვინ ვის აჯობებს. რომელიც უკეთეს ფორმაში იქნება, სასტარტოშიც ის მოხვდება“.

## ფეხბურთის რუქასთან



**ესპანური** „სევილიას“ მცველი ენცო მარესკა ბილბაოს „ატლეტიკთან“ მატჩში დაშავდა და ზეგ „ლილთან“ უეფას თასის შეხვედრას გამოტოვებს. იტალიელს მყესი დაუზიანდა, რის გამოც გუნდს დაახლოებით ერთი თვით დააკლდება. აღსანიშნავია, რომ მარესკამ ბილბაოელებთან პენალტი გაიტანა, სულ კი მის ანგარიშზე ამ სეზონში შვიდი გოლია.

**ფრანგულმა** „მარსელმა“ რუსი ნახევარმცველი ნაზირ კაჟაროვი შეიძინა და ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმა. 19 წლის ფეხბურთელს რუსულ პრემიერლიგაში არც უთამაშია. იგი მოსკოვის „სპორტაკადემკლუბიდან“ მოხვდა ფრანგულ გუნდში. კაჟაროვი „მარსელის“ ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობს და მწვრთნელს თავს თუ მოაწონებს, ზაფხულში კონტრაქტს გაუგრძელებენ.

**გერმანულმა** „ბაიერნმა“ ირანელ ლეგიონერ ალი ქარიმს ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ქარიმი „ბაიერნში“ შარშან ზაფხულს „ალ აჰლიდან“ გადავიდა და გერმანულ გუნდში ამ სეზონში 25 მატჩი ითამაშა. გასულ უქმეებზე „ჰამბურგთან“ შეხვედრაში შეცვლაზე შესულმა ირანელმა ფეხი იტკინა და ექვსი კვირა მკურნალობა მოუწევს.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ფინელი მცველი სემი ჰიპია ხვალ „ბენფიკასთან“ ალბათ ითამაშებს. ჰიპია „ჩარლტონთან“ შეხვედრაში დაშავდა და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ მცველს „ბენფიკასთან“ მატჩის გამოტოვება მოუწევდა, მაგრამ ტრავმა მალე უშუშდება და ფინელი კვლავაც „ლივერპულის“ დაცვის ცენტრში იქნება.

**ესპანური** „დეპორტივოს“ პორტუგალიელმა მცველმა ჟორჟე ანდრადემ „ბარსელონასთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს. ანდრადემ „ბარსას“ გოლიც გაუტანა, მაგრამ 61-ე წუთზე მუხლის მყესი გაუწყდა და ექიმის თქმით, ოთხი თვე უნდა იმკურნალოს.

**ფრანგული** „ლიონის“ მარცხენა მცველი ჟერემი ბერტოდი ტრავმის გამო პსვ-სთან ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩს გამოტოვებს. ფეხბურთელმა „აიაჩოსთან“ შეხვედრაში მუხლი იტკინა და ორი კვირა დაისვენებს. შეგახსენებთ, რომ „ლიონს“ ტრავმის გამო კლაუდიო კასაპა და ანტონი რევეირიც დააკლდება, ხოლო სიდნეი გოვუ დისკვალიფიცირებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა






AFP ფოტოსამსახური

# მე ვზივარ თვითმფრინავში და მივდივარ სახლში



AFP ფოტოსამსახური

რაიმონ დომენეკი და სვენ გორან ერიქსონი უორკშოპზე

**უორკშოპი** ისეთი სემინარია, რომლიდანაც მონაწილეებმა, წესით, ხეირი უნდა გამოადნონ. ჰოდა, დიუსელდორფში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებების მწვრთნელთა უორკშოპი მიმდინარეობს, რომელსაც თვით კარლოს ალბერტო პარეირა, სვენ გორან ერიკსონი და საფეხბურთო სამყაროს სხვა ვეშაპები ესწრებიან. ისინი ბჭობენ, რა როგორ სჯობს, ოღონდ არის თვალშისაცემი ამბავიც: ეს ყველაფერი ჩემპიონატის მასპინძელი ნაკრების თავკაცის გარეშე ხდება.

დიახ, იურგენ კლინსმანი დიუსელდორფში არ გახლავთ და მუნდიალის ორგანიზატორი ფრანც ბეკენბაუერიც სწორედ ამან გააგიჟა.

„კლინსმანი ვალდებულია, აქ იყოს — განრისხდა კაიზერი — აქ მნიშვნელოვანი სემინარი მიმდინარეობს, ასეთები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ბევრი აღარ გაიმართება. ცხადია, მას სრული უფლება ჰქონდა, ამერიკაში ოჯახის სანახავად გამგზავრებულიყო, მაგრამ ახლა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატი სულ უფრო და უფრო ახლოვდება, კლინსმანი გერმანიაში მეტ დროს უნდა ატარებდეს. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ველაპარაკე ამის შესახებ, მაგრამ ერთ ყურში რომ შეუშვებს, მეორედან გამოუშვებს. ეს საქციელი აუცილებლად გამოიწვევს კრიტიკის ქარცეცხლს და თუ მას ამ კრიტიკის მოსმენა და გადატანა შეუძლია, ძალიან კარგი“.

დიახ, ფლორენციაში იტალიასთან 1:4 წაგების შემდეგ იურგენ კლინსმანმა ქუდი დაიხურა და აშშ-ში ანუ სახლში წავიდა — მოგეხსენებათ, მას მერე, რაც ფეხბურთს აღარ თამაშობს, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალიელ მეუღლესთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს — თუმცა, ამერიკაში წასვლა ერთია და პარეირას და ერიკსონის საზოგადოებაზე უარის თქმა, თან მუნდიალამდე სამი თვის ადრე, მეორე.

„იტალიაში წაგების შემდეგ ის აუცილებლად უნდა დარჩენილიყო და გუნდის ნამსხვრევები აეკრიფა— განაგრძო ბეკენბაუერმა — თუ კლინსმანს სხვა აზრი აქვს და ფიქრობს, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო, მაშინ კრიტიკას წყნარად გაუძლოს. დღეს ასეთი სიტუაციაა: მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ჩვენზე ტექნიკური გუნდი ბევრია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ეს ნაკლი სხვა თვისებებით შევავსოთ და გამოვასწოროთ. გარდა ამისა, მართალია, იტალიაში არ ვვარგივართ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატს შინ ვთამაშობთ და ეს სულ სხვაა“.

შეგახსენებთ, რომ ფრანც ბეკენბაუერი მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ როგორც ფეხბურთელის, ასევე მწვრთნელის რანგში.

**პაპუნა ძიდია**

# დაღილავებული მანჩესტერის ორი სამიზნე

„**მანჩესტერ იუნაიტედის**“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ცოტა ხნის წინ თქვა, მომავალ ზაფხულს რამდენიმე ტრანსფერს განვახორციელებთ და ისევ გავძლიერდებითო. აქცენტი ნახევარდაცვაზე კეთდება, სადაც „წითელ ეშმაკებს“ ყველაზე მეტად უჭირთ. მანჩესტერელებს ორი ფეხბურთელი სურთ — „ლილის“ ნახევარმცველები, მეტიუ ბოდმერი და ჟან მაკუნი. ორივე მათგანი ახალგაზრდა და პერსპექტიულია.

ინგლისელებს საფრანგეთში სკაუტებიც გაუგზავნიათ. ამბობენ, მათ ორივე ფეხბურთელი ძალიან მოეწონათ და სერ ალექს ფერგიუსონს უქსო. შოტლანდიელსაც ჭკუაში დაუჯდა მათი შეძენა. აღსანიშნავია, რომ ბოდმერის ხელში ჩაგდება „ოლდ ტრაფორდის“ ბინადრებს იანვარშივე სურდათ, მაგრამ ბოლოს რატომღაც თავი შეიკავეს.

„თუ რომელიმე კლუბს ჩემი შეძენა მოუნდება, „ლილს“ 5,5 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადოს“ თქვა ბოდმერმა.




მეტიუ ბოდმერი

რაც შეეხება 22 წლის კამერუნელ მაკუნს, იგი „მანჩესტერის“ ინტერესით ძალიან კმაყოფილია და ამბობს, ინგლისში სიამოვნებით გადავალო. „წითელი ეშმაკები“ უკვე კამერუნელის აგენტსაც დაუკავშირდნენ.

ჟან მაკუნი: „ვიცი, რომ „მანჩესტერი“ მაკვირდება, ინგლისელებმა სკაუტებიც გამოგზავნეს, რომლებიც ჩემს აგენტს დაუკავშირდნენ. „ლილს“ ჯერ ოფიციალური წინადადება არ მიუღია, მაგრამ ეს ალბათ სეზონის ბოლომდე არც მოხდება“.

დაბოლოს, გავიხსენოთ ის, რომ „მანჩესტერი“ და „ლილი“ ჩემპიონთა ლიგაში ერთ ჯგუფში იყვნენ. ფრანგებმა ინგლისელებს 4 ქულა აართვეს და ფერგიუსონმაც სწორედ მაშინ დაადგა თვალი კარგად მოთამაშე ნახევარდაცვის წყვილს.

**გიორგი ძაძამაძე**



# მარჩიელობა მაისამდე

**მარჩელო ლიპი** აქედანვე წუხს — სამუნდიალო განაცხადში 23 კაცზე მეტი ვერ მოხვდება და ბევრს გული უნდა დავწყვიტოო.

